დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

27 მარტი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 55 (10 468) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დავით გობეჯიშვილი და სხვები

**სულ** მალე ამერიკის ქალაქი ტოლიდო (ოჰაიოს შტატი) თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო თასის პირად-გუნდური გათამაშების ასპარეზი გახდება. ქალაქისთვის ტრადიციული ეს შეჯიბრება (თასის ტურნირი თითქმის ყოველწლიურად აქ ეწყობა) აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება.

მანამდე კი სსრ კავშირის ნაკრები ამხანაგური შეხვედრების და ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად იაპონიას ესტუმრება. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უკვე განსაზღვრა შემადგენლობა, რომელშიც მოხვდნენ: ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონები დავით გობეჯიშვილი, არსენ ფაძაევი, მახარბეკ ხადარცევი, აგრეთვე, მსოფლიო თასის მფლობელი გაბაუტდინ უმახანოვი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გაჯი რაშიდოვი და სხვა ახალგაზრდა მოჭიდავენი.

სად რა სიახლეა?

## „აეროფლოტიც“ ქვეყანაში „წესრიგის დამყარებისთვის“ იბრძვის?

**„აეროფლოტი“**, ნებსით თუ უნებლიეთ, ამუხრუჭებს ქვეყნებს შორის თავისუფალ სპორტულ ურთიერთობას, ზღუდავს სპორტული დელეგაციების უვალუტო გაცვლას. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ უცხოელებმა საბჭოთა ქვეყნის შიგნით საჰაერო გადაადგილებისათვის უნდა გადაიხადონ მხოლოდ ვალუტა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში დაგეგმილი ოფიციალური და არაოფიციალური საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებების რიცხვი—„აეროფლოტის“ ტრიუკის შედეგად მინიმუმამდე შემცირდა.

## აუზი პლასტიკატით...

**სმოლენსკის** ოლქის ქალაქ საფონოვის ქარხანა „პლასტმასის“ ბაზაზე წარმატებით აიფვისეს უნიკალური პლასტიკური საცურაო აუზების წარმოება.

## ინსტრუქტორი საბავშვო ბაღებში?

**სადირექტივო** საკავშირო ორგანოებში შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც საბავშვო ბაღებში ფიზკულტურის ინსტრუქტორის შტატის შემოღებას ითვალისწინებს.

# ბიჭი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობს

**გიორგი** ბახტაძე, თერთმეტი წლისაა, თბილისის რკინიგზის მე-9 საშუალო სკოლის მეხუთე კლასში სწავლობს. რომ შეხედავ, გაიფიქრებ, ალბათ ისევ ომობანას თუ თამაშობს ან ქვიშის „სასახლეებს“ აშენებსო. კი, რა თქმა უნდა, თავის მეგობრებსა და მეზობლებში გიორგი ჩვეულებრივი ბიჭია თავისი პატარა სამყაროთი — ბურთზე



რომ მიდგება საქმე. უკან არ იხევს და ფეხბურთის თამაშში გვიანობამდე შემორჩება ეზოს. აი, ჭადრაკის დაფასთან კი ეს პატარა თმაქოჩორა ბიჭი ნამდვილ მებრძოლად იქცევა ხოლმე და მაშინ ქვიშაზე არა, მაგრამ იქნებ ჭადრაკის სამყაროში იმზადებდეს ნამდვილ სამეფო ადგილს.

რატომაც არა! აკი, მითხრეს კიდეც, ეს ბიჭი სასწაულებს მოახდენსო. ხუთი წლისამ დაიწყო ჭადრაკში მეცადინეობა მწვრთნელ პავლე ხიზანიშვილთან და მას შემდეგ გამარჯვებები ერთგულ მეგზურად თან სდევს. წლეულს კი განსაკუთრებული წარმატებები დაებედა. ჯერ თბილისის ჩემპიონი გახდა თორმეტწლიანებში, შემდეგ რესპუბლიკურ შესარჩევ ტურნირში ითამაშა და ექვს თანატოლს შორის პირველობა არავის დაუთმო. ასე გაემგზავრა გიორგი ბახტაძე ლენინგრადში, სადაც საკავშირო პირველობა ტარდებოდა. ეს საკავშირო ჩემპიონატი თავისთავად მსოფლიო პირველობის შესარჩევი ეტაპი გახლდათ. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა, ცხრა ტურში გიორგიმ ექვსჯერ გაიმარჯვა და პირველ ადგილზე გასულ რიჩაგოვთან მარცხი რომ არა, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ქართველი მოჭადრაკე აღმოჩნდებოდა. თუმცა, არც მეორე ადგილია ურიგო — ქართველ მოჭადრაკე ვაჟთა გამარჯვებებით მაინცდამაინც არ ვართ განებივრებული. გიორგი ბახტაძის ორი პარტია ჟიურიმ საუკეთესოდ ცნო. თორმეტი წლის მოჭადრაკეთა საკავშირო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბიხოვსკიმ პრიზიც გადასცა საუკეთესო პარტიების „ავტორს“ და თან... როგორც გამარჯვებულ კლასს, ევროპის პირველობაში მონაწილეობის უფლება მისცა. მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის შანსიც არ დაკარგულა — თუ გიორგი მაისში კონტინენტის ჩემპიონი გახდება თანატოლთა შორის, მაშინ ივლისში გაემგზავრება პოლონეთში მსოფლიო პირველობაზე.

— ევროპის პირველობას აუცილებლად მოვიგებ, — გვპირდება გიორგი. — მხარში ხომ ისეთი გულისხმიერი და კეთილი ადამიანი მიდგას, როგორიც ჩემი მწვრთნელი დავით პაქსაშვილია. იგი ჩემთვის მხოლოდ მასწავლებელი კი არა, უფროსი მეგობარიც არის.

კარგია, ოსტატს და შეგირდს ასეთი თბილი ურთიერთობა რომ აქვთ.

სხვა რა უნდა ვთქვათ პატარა ბიჭუნაზე, რომელსაც დიდი მიზნები და გეგმები აქვს, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, თანატოლებში მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობს და ლამაზად მოგებული პარტიებით ამ ოცნებაში იქნებ ჭადრაკის მეფის ტახტს თლის და აჩუქურთმებს.

**ინგა აფციაური**

# საქართველოს გუნდი—ფინალში

**კიევი.** უკრაინის დედაქალაქში დაიწყო X საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფრენბურთელთა ტურნირი. ვაჟთა ასპარეზობის მონაწილენი დაყოფილი არიან ოთხ ჯგუფად. პირველ-მეორე ადგილზე გასულნი შეადგენენ ფინალურ ჯგუფს, რომელიც გაითამაშებს სპარტაკიადის მედლებს.

ჯგუფები დაკომპლექტდა ასე: **პირველი** — ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, მოსკოვი; **მეორე** — სომხეთი, თურქმენეთი, საქართველო, ლატვია; **მესამე** — უზბეკეთი, ბელორუსია, რსფსრ; **მეოთხე** — ლენინგრადი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი.

საქართველოს ფრენბურთელებმა პირველ შეხვედრაში აჯობეს თურქმენეთის წარმომადგენლებს — 3:0 (15:7, 15:2, 15:12), ლატვიის გუნდმა კი (იგი უმთავრესად რიგის „რადიოტექნიკის“ მოთამაშეებით — უმაღლესი ლიგის სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული) სომხეთის ნაკრები დაამარცხა — 3:0 (15:2, 15:7, 15:3).

საქართველოს ფრენბურთელებმა ჯგუფური ტურნირის მეორე შეხვედრაც მოიგეს სომხეთის წარმომადგენლებთან და ლატვიის გუნდთან მარცხის მიუხედავად ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

შეიქმნა ფინალისტთა ორი „კვარტეტი“. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ: უკრაინის, ლატვიის (თითო „ოქროს ქულით“), მოსკოვისა და საქართველოს ფრენბურთელები (თითო დამარცხებით). მეორე ჯგუფში მოხვდნენ რსფსრ და ყაზახეთი (თითო ქულით), ლენინგრადი და ბელორუსია (თითო დამარცხებით). ფინალური შეხვედრები წრიული სისტემით გაიმართება. ჯგუფებში გამარჯვებულნი ოქროს მედლებს გაითამაშებენ, მეორე ადგილზე გასულნი ბრინჯაოს ჯილდოებს და ა. შ.

## რეფერენდუმის წინ

**თბილისის** ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ კლუბში საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის შეკრებაზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 31 მარტს ყველა სპორტსმენი და ფედერაციის თანამშრომელი უკლებლივ მიიღებს მონაწილეობას 31 მარტის რეფერენდუმში, ხმას მისცემენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

## ა. კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში მოზარდთა შორის



მ. აბაშიძე



გ. რევაზიშვილი



გ. ვაზაგაშვილი



მ. ლუზარაული



ა. ლვინიაშვილი



ა. დავითაშვილი

213 კვარცხლბეკი

ჭაბუკები.

**49 კგ.** 1. მ. აბაშიძე (საქართველო), 2. ვ. ბეროკი (სსრ კავშირი), 3. გ. ჯაფარიძე (საქართველო) და ს. ივანიუსკო (სსრ კავშირი);

**53 კგ.** 1. უ. სულთანოვი (სსრ კავშირი), 2. ა. ბერიძე, 3. ვ. ჩანადირი (ორივე — საქართველო) და ვ. სოტნიკოვი (სსრ კავშირი),

**57 კგ.** 1. გ. რევაზიშვილი (საქართველო), 2. ვ. პოტაპოვი (სსრ კავშირი), 3. ა. ნოვალოვსკი (სსრ კავშირი) და დ. ფუხაშვილი (საქართველო).

**62 კგ.** 1. გ. ვაზაგაშვილი, 2. ა. აბრამიშვილი, 3. ა. ხარებაშვილი და ი. გვარლიანი (ყველა — საქართველო);

**68 კგ.** 1. მ. ლუზარაული, 2. ი. ონიანი, 3. ო. კახიანი (სამივე — საქართველო) და ჯ. ჰასანოვი (სსრ კავშირი);

**75 კგ.** 1. ა. ლვინიაშვილი (საქართველო), 2. მ. ვეტროვი (სსრ კავშირი), 3. მ. ჯანანაშვილი(საქართველო) და ვ. გუსელცევი (სსრ კავშირი);

**83 კგ.** 1. დ. მოროზოვი (სსრ კავშირი), 2. თ. ციმაკურიძე, 3. რ. ჩოჩიშვილი და ზ. სილაგაძე (სამივე — საქართველო);

**90 კგ.** 1. ი. ქელუდკოვი (სსრ კავშირი), 2. ა. მეშველიანი, 3. ზ. გოგაშვილი (ორივე — საქართველო), და ფ. ფოსმანი (გერმანია);

**მძიმე:** 1. ა. დავითაშვილი საქართველო), 2. ე. ჩირკოვი (სსრ კავშირი) 3. ი. ჯაფარიძე (საქართველო) და ს. კნიაზკიანი (სსრ კავშირი).

გოგოები:

**45 კგ.** 1. ს. კომაროვა, 2. ს. მიხაილუკი, 3. მ. ლაბაზანოვა და ი. პანენკოვა (ყველა — სსრ კავშირი);

**48 კგ.** 1. ი. სოკოლოვსკაია, 2. გ. ტომეკი, 3. ო. როზტიკი და ა. ხაჩატრიანი (ყველა — სსრკ);

**52 კგ;** 1. ტ. მინკოვსკაია (სსრკ), 2. ე. კრაუზე (პოლონეთი), 3. ქ. ბუკიაშვილი (საქართველო) და გ. მარკოსიანი (სსრკ);

**56 კგ.** 1. ე. კუდრიავცევა, 2. ლ. კრისტიავცევა, 3. ნ. პავლოვა და ი. ბაბაჯანი (ყველა — სსრკ);

**61 კგ.** 1. ა. უტკოვა, 2. ტ. ფლიმენკოვა, 3. გ. ტოვმოსიანი (სამივე — სსრკ) და რ. ზიარნო (პოლონეთი);

**66 კგ.** 1. მ. სვიატკევიჩი (პოლონეთი), 2. ი. მინკოვსკაია, 3. ო. მარტენოვა და ი. მერაშკინა (სამივე — სსრკ);

**72 კგ.** 1. ო. ვორობიოვა (სსრკ), 2. ა. ლომიძე (საქართველო), 3. ნ. კატელნიკოვა და ნ. ოვსიანიკოვა (სსრკ);

**მძიმე:** 1. თ. დონლუზაშვილი (საქართველო), 2. ვ. სკილინა, 3. ი. იანკინა და ე. ზადოე (სამივე — სსრკ).

# ყმაწვილო, უკადრისს რად კადრულობთ?

! სამწუხაროა, როდესაც განვლილი ტურნირის შემდეგ უსიამოვნო ფაქტზე გვიხდება საუბარი. მით უფრო სამწუხაროა, რომ მომხდარი ინციდენტის „მთავარი მოქმედი პირი“ ჭაბუკი სპორტსმენია.

კარგ მოჭიდავეს ყოველთვის უნდა შეეძლოს თავის შეკავება, რადგან გულშემატკივრის მეხსიერებიდან ამა თუ იმ სპორტსმენის მიერ ჩადენილი ულირსი საქციელი ძნელად წაიშლება.

ა. კიკნაძის სახელობის მოზარდ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილისთვის ფრიდონ კახელაშვილი (მწვრთნელი გიორგი ალექსანიანი) და საკავშირო ნაკრების წარმომადგენელი ჯემალ ჰასანოვი ხვდებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვება ჯ. ჰასანოვს მიეკუთვნა. წაგებით განაწყენებულმა ფ. კახელაშვილმა და მისმა ახლობლებმა ორთაბრძოლის შემდეგ იქვე, ტატამთან ახლოს, ნამდვილი მუშტი-კრივი გაუმართეს მეტოქეს.

მტყუან-მართლის გარჩევა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია — მასპინძელმა ყოველთვის ღირსეულად უნდა დაიჭიროს თავი, რათა არც სახელი გაიტეხოს და არც თავის ქვეყანა შეარცხვინოს.

რას გვიამბობ, კოლეგა?,

# „სიბერეში ნარდში ვიპოვე ჩემი თავი“

**ნებისმიერი** ჟურნალისტი დამეთანხმება — მთელი ჩვენი ცხოვრება თავგადასავლების კრებულია. სპორტული ჟურნალისტისა — მით უმეტეს. ნოდარ გიორგობიანსაც, ბიჭობაში მეტსახელად აშხენა რომ არ შეერქმიათ, შემდეგში ალბათ რომელიმე სათავგადასავლო რომანის გმირის სახელი მაინც ექნებოდა „გარანტირებული“. ეს ნათლობა“ ერთ მოგონებას უკავშირდება; თანაგუნდელებთან ერთად შეკრებაზე მიდიოდა, სადგურზე სომეხი მანდილოსნის აშხენ გევორქიანის პასპორტი იპოვა, ხომ არ გადააგდებდა ქალაქელი ბიჭი, თანაც მთაწმინდაზე გაზრდილი, ჩანთაში ჩადო და შეკრებაზე წავიდა. შინ დაბრუნებულმა, კი გაუგზავნა საბუთი პატრონს, მაგრამ რაღა დროს, ბიჭებს ნოდარის ჩანთაში პასპორტი აღმოუჩენიათ და ეს ორიგინალური მეტსახელიც მაშინ შეურქმევიათ. აშხენა — ასე იცნობს ყოფილ სპორტსმენს, სპორტულ ჟურნალისტს, ამჟამად საქართველოს ნარდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ნოდარ გიორგობიანს ყველა, დიდი თუ პატარა, ნათესავი თუ ძმაკაცი, თანამშრომელი თუ თანაქალაქელი...

**შეხედავ** თუ არა, რომც არ იცოდე, მიხვდები, ამ კაცის ცხოვრებაში სპორტს თავისი წარუშლელი კვალი დაუტოვებია და თვით მასაც ასაკისთვის „შეუფერებელი“ ახალგაზრდობა შეუნარჩუნებია. ამიტომ ორმაგად საინტერესო იყო ჩვენთვის ბატონ ნოდართან საუბარი — როგორც ყოფილ სპორტსმენთან და როგორც სპორტულ ჟურნალისტთან.

● **ბატონო ნოდარ, არაერთ სპორტულ ჟურნალისტს თავისი სპორტული წარსული „უმაგრებს ზურგს“. ძნელია, თავად არ გქონდეს განცდილი სპორტსმენის ცხოვრების ავ-კარგი და წერო მასზე, სპორტსმენთა ჭირი და ლხინი გაითავისო. მე, სამწუხაროდ, ასე ვარ და ეს მუშაობაში გარკვეულწილად ხელს მიშლის — ვაითუ, რაიმე ნიუანსს ვერ ჩავხვდე, შეცდომა მომივიდეს და ამით სპორტსმენს გული ვატკინო. თქვენს ჟურნალისტურ მოღვაწეობას კი წინ საკმაოდ მდიდარი სპორტული წარსული უძღოდა...**

— ჟურნალისტისთვის — კი, ბატონო, მაგრამ სპორტსმენისთვის ჩემი „მიღწევები“ ბევრი ვერაფერი სატრაბახო იყო. მოკლედ, დიდი სპორტსმენი არასდროს ვყოფილვარ. თავიდან ჭადრაკით დავიწყე. ვიქტორ გოგლიძის სკოლაში დავდიოდი, მაგრამ მალევე მივხვდი, ჩემგან დიდი მოჭადრაკე არ დადგებოდა, თუმცა, ერთდროული თამაშის სეანსებში თვით ვიქტორ გოგლიძე, ვასილ სმისლოვი და დავით ბრონშტეინი დამიმარცხებია და ამის დასტურად მათი ხელმოწერილი პარტიების ჩანაწერიც მივართვი საჩუქრად ოჯახის წევრებს. მეორეთანრიგოსანმა მივანებე ჭადრაკს თავი. ვგრძნობდი, ჩემს დაუდგრომელ სხეულს მოძრაობა სჭირდებოდა.

იმ დროს მთელი ახალგაზრდობა ფეხბურთით იყო გატაცებული, ღამეც კი პაიჭაძე აბოდებდათ, თან ჩვენს სკოლას ფეხბურთელთა საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდა, მიუხედავად ამისა, მე გულმა კალათბურთისკენ გამიწია. ყველასთვის საყვარელი კაცი მიხეილ კეკელიძე გვავარჯიშებდა. იგი ჩვენთვის მარტო მწვრთნელი კი არა, უფრო მეგობარი იყო, ძმა, აღმზრდელი და მრჩეველიც. თუ ცხოვრებაში კაცებად დავრჩით, მისი დამსახურებაც არის. ჩემი მოსვლა სპორტში იმ პერიოდს დაემთხვა, ქართული კალათბურთი საოცრებას რომ ახდენდა. ახალგაზრდობას პირზე ეკერა ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, მიხეილ კეკელიძის, ძმები მესხების, სულიკო თორთლაძის, ოთარ სულაბერიძის, კუკური არლანაშვილის, შოთა ქორქაშვილის, საშა ელენსკისა და სხვათა სახელები. რა დამავიწყებს კიროვის ბაღის მოედანზე შეკრებილ კალათბურთის თავგადაკლულ გულშემატკივრებს, როგორ არ გავიხსენო კეთილი ძია გაბო, არაჩვეულებრივად კეთილსინდისიერი კაცი, შვილებივით რომ უვლიდა იმ პრიმიტიულ მოედნებს, ოღონდაც ქუჩიდან შემოსულ ახალგაზრდობას კალათბურთი ეთამაშა.

● **ამას წინათ ვახტანგ ანანიაშვილს ვესაუბრე. 1948 წლის მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრებს შორის თქვენც დაგასახელათ...**

— კარგად მახსოვს, როგორ ვემზადებოდით ტურნირზე წასასვლელად. ბათუმამდე მატარებლით ვიმგზავრეთ, შემდეგ გემით, „ადმირალ ნახიმოვით“ ჩავედით ოდესაში. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავდა და ჩვენი ჩემპიონობაც ლოგიკური იყო. დათო გოძიაშვილი და ვაჟა გვანცელაძე მაღალი, ტექნიკური თავდამსხმელები იყვნენ. ზუსტი ტყორცნით გამოირჩეოდნენ თავდამსხმელი ვახტანგ ანანიაშვილი და მცველი გივი რუხაძე, კარგი გამთამაშებელი იყო ჩვენი კაპიტანი ოთარ აფაქიძე, სისწრაფით ყველას გვჯობდა თენგიზ მეძმარიაშვილი. თბილისიდან წასულები პრიზიორობაზე ვფიქრობდით, ჩემპიონებად კი დავბრუნდით.

● **როგორც ბატონმა ვახტანგმა თქვა, ფაქტობრივად, იმ დღეებშივე სტუდენტები გახდით და უნივერსიტეტის ლამაზი, ტკბილად მოსაგონარი ცხოვრება ჩემპიონობით დაიწყეთ. თქვენი ყოფილი, მოსწავლეთა გუნდის წევრთა უმეტესობამ გეოლოგობა გადაწყვიტა. თქვენ?**

— მე, ფული მიყვარს-მეთქი და, ეკონომიკურზე ჩავაბარე: შემდეგ ვიფიქრე, რაიკომის მდივნობა ყველაფერს სჯობია-მეთქი და ისტორიულზე გადავიტანე საბუთები. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სტუდენტური ცხოვრება ახსენეთ. იმ წლებში კალათბურთი ისე პოპულარული გახდა, რომ ახალგაზრდობა ყველა რანგის შეჯიბრებას ესწრებოდა. მარტო უნივერსიტეტის სპარტაკიადა რად ღირდა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ნიკო კეცხოველი იყო, ჩვენი ძია ნიკო. ფაკულტეტებს შორის ჩემპიონატიც კი ისე საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა, რომ დასასწრებად თბილისის თითქმის ყველა უბნიდან მოდიოდა ხალხი. „ტრიბუნებად“ პირველი კორპუსის ყველა სართულის ფანჯრებს იყენებდნენ.

როგორ არ მოვიგონო შეხვედრები ჩვენს აღსაზრდელებთან...

● **და დაიწყო არანაკლებ საინტერესო — ჟურნალისტური ცხოვრება...**

— არა, ჩემდა სამარცხვინოდ, ჯერ ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში განთავისუფლებულ კომკავშირის კომიტეტის მდივნად დავიწყე მუშაობა, მაგრამ მალე 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ღამე დადგა და მეც უკანმიუხედავად მივატოვე ყველაფერი. უმუშევარი დავდიოდი, სპორტის სიყვარული კი არ გამნელებოდა და ერთი პატარა ინფორმაცია მივიტანე რადიოკომიტეტში. აქ ჩემს ცხოვრებაში უკვე მესამედ გამიმართლა — ძია მიშას და ძია ნიკოს შემდეგ — გავიცანი რადიოკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ანტონ კელენჯერიძე, კეთილი, გულისხმიერი ადამიანი, რომელმაც სულ მალე კორესპონდენტად „მიიყვანა“. სპორტის ყველა სახეობას ვაშუქებდი, ჭადრაკს და კალათბურთს კი — განსაკუთრებული მონდომებით.

● **ვინ მოთვლის, წლების მანძილზე ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების წარმატებების შესახებ რამდენჯერ გიუწყებიათ რადიომსმენელთათვის. ალბათ, საყვარელი სპორტსმენიც გეყოლებოდათ.**

— საქართველოს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად ნონა გაფრინდაშვილი მიმაჩნდა და მის ხალას ნიჭს მეც შევხაროდი. როგორც კი ცამეტი წლის გოგონა ვახტანგ ქარსელაძემ აღმოაჩინა, მთელმა საქართველომ მასზე დაიწყო ლაპარაკი. ბევრი კარგი სპორტსმენი აღზარდა ქართველმა ერმა, ნონა კი მაინც განუმეორებელი იყო. ცხადია, თუნდაც ამ სიყვარულის გამო, მის ყველა მატჩს ვესწრებოდი და რეპორტაჟებსაც გადმოვცემდი. ერთი ინტერვიუ კი არასდროს დამავიწყდება. მაშინ მე და რედაქციის კიდევ ერთმა თანამშრომელმა, შესანიშნავმა სპორტულმა ჟურნალისტმა ქალმა თამილა კახიძემ ერთი რუბრიკა მოვიფიქრეთ — რადიომსმენელთა კითხვებზე ერის საუკეთესო სპორტსმენები უპასუხებდნენ. ამ ჩანაწერებით შემორჩა რადიოს ოქროს ფონდს საკმაოდ ხანგრძლივი საუბრები ბორის პაიჭაძესთან, ვიქტორ სანეევთან, თინათინ ლეკვეიშვილთან, ანზორ კიკნაძესთან, ლევან თედიაშვილთან, ზურაბ მაჩხანელთან და სხვებთან. რუბრიკის პირველი სტუმარი კი ქალბატონი ნონა გახლდათ.

● **რადიოში თქვენი მუშაობის დაწყება იმ პერიოდს დაემთხვა, ტელევიზორი ჯერ რომ არ არსებობდა. საერთოდ, ხალხს არ ჰქონდა ამდენი ინფორმაცია. ასეთ ვითარებაში ალბათ დაძაბული მუშაობა გიწევდათ..**

— რა თქმა უნდა. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. რედაქციაში უამრავი წერილი მოდიოდა რუსულენოვანი გაზეთებიდან — „პრავდიდან“, „სოვეტსკი სპორტიდან“, „იზვესტიიდან“, თუ შეიძლება, თითო ტაიმში ხუთ-ხუთი წუთი ეროსი მანჯგალაძემ და კოტე მახარაძემ რუსულად



ნოდარ გიორგობიანი (შუაში) თანაგუნდელებთან ერთად.

წაიყვანონო, იმასაც გვთხოვდნენ, იქნებ ანგარიში მაინც გამოაცხადონ რუსულადო. რა გასაკვირია, მაშინდელი პრესა რადიოდან მიღებული ინფორმაციით სარგებლობდა. ბაქოს რადიოში ხუთწუთიანი რუსულენოვანი რეპორტაჟის პრაქტიკა უკვე ჰქონდათ. წერილები რომ დამიგროვდა, შევედი ბატონ ანტონ კელენჯერიძესთან, ავუხსენი საქმის ვითარება და რჩევა ვთხოვე. მითხრა, შენ ხომ არ გაგიჟდი, ეგ რომ დავუთმოთ, მერე მთელი რეპორტაჟის რუსულ ენაზე წაყვანას მოგვთხოვენო. მისწერე, თუ ანგარიშის გაგება უნდათ, ქართულად ათამდე თვლა მაინც ისწავლონო.

წეღან თქვით, ხალხს ამდენი ინფორმაცია არ ჰქონდაო. მართალი ბრძანდებით, ჩვენ მთელი მონდომებით ვმუშაობდით რეპორტაჟებზე. არასდროს დამავიწყდება 1959 წლის 10 აგვისტოს მატჩი მეორე საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოსა და ლატვიის კალათბურთელთა ნაკრებებს შორის. საქართველოს გუნდი მანამდე საკმაოდ სუსტ ყაზახეთის ნაკრებთან დამარცხდა, ამიტომ ლატვიელებთან მხოლოდ გამარჯვება გვჭირდებოდა, არადა, ბალტიისპირელები, როგორც ყოველთვის, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით თამაშობდნენ. მატჩი ერთობ დრამატულად წარიმართა. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, დამატებითი კი მართლა ტანჯვად გვექცა. ჩვენებიდან ჯერ მინაშვილმა მიიღო ხუთი საჯარიმო, მერე რეზო გოგელიამ და ლევან ინწკირველმა. მესამე დამატებით ხუთწუთიანში მოედანი ჯერ უგრეხელიძემ დატოვა, შემდეგ მოსეშვილმა. თურმე რეპორტაჟის წაყვანაც აღარ მინდოდა. „შენს საქმეს მიხედეო,“ ვიღაცამ მითხრა. მოკლედ, ბევრს არ გავაგრძელებ, ვინც ნახა და მოისმინა ეს მატჩი, დამეთანხმება — უფრო მძაფრი ემოციები აღარ არსებობს. მოედანზე დარჩენილმა სამმა ქართველმა კალათბურთელმა დაძაბულ ბრძოლაში დაჯაბნა ლატვიელი გიგანტები, ჩვენი სიხარული უსაზღვრო იყო, თითქოს აირია ცა და ქვეყანა, მაგრამ მე ვნახე სხვაც — ვნახე ალექსანდრე გომელსკი, რომელიც ბოლთას სცემდა და ბუტბუტებდა „წარმოუდგენელია, წარმოუდგენელია“. გიგანტი კრუმინში მოცელილივით იჯდა და ტიროდა, ტიროდა მის მუხლებში თავჩარგული მუჟნიეკსიც, ამის შემდეგ მრავალ საინტერესო მატჩს მოვესწარი, იყო მადრიდის „რეალი“, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის თბილისში „ჩამობრძანება“, მაგრამ ეს რეპორტაჟი არასოდეს დამავიწყდება, რადგან სპორტში ტექნიკასა დე ტაქტიკაზე უფრო მეტად ზოგჯერ კაცობა და ვაჟკაცობა იმარჯვებს.

● **ბატონი ნოდარ, თქვენმა მეგობრებმა წინასწარ მითხრეს, რომ უცხოეთიდანაც არაერთხელ ჩამოგიტანიათ საინტერესო და სახიამოვნო ინფორმაცია. შარშან იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში არც ერთი ქართველი ჟურნალისტისთვის არ აღმოჩნდა სააკრედიტაციო ადგილი, ვითომდა, რადგან ფეხბურთში მარტო ყოფნა ისურვეთ, კარგად იყავითო. არც სხვა საზღვარგარეთული ტურნირებით ვართ განებივრებულნი. თქვენს დროს თუ ჭირდა უცხოეთში ასპარეზობებზე მივლინება და რა პირობები იყო ამისათვის საჭირო?**

— მაშინ სხვა მოთხოვნები იყო. საგზური თუ საბუთი ხელშიც რომ გჭეროდა, პარტიული და ცოლიანი თუ არ იყავი, მაინც არ გაგიშვებდნენ. 1964 წელი იყო. ტოკიოში ოლიმპიურ თამაშებზე წასვლის შანსი გამიჩნდა (რა დასამალია და, კულისებში მეგობრებიც გვეხმარებოდნენ). არც პარტიული ვიყავი, არც დაოჯახებული. ვიღუპებოდი კაცი. როგორც სპორტსმენისთვისაა ოლიმპიადა საოცნებო, ისე სპორტული ჟურნალისტისთვის და რაღაც ორი სულელური მოთხოვნის გამო ასეთ სიამოვნებაზე უარი უნდა მეთქვა. პარტიის კალინინის რაიკომის მაშინდელ მდივანს ვახტანგ ნინოშვილს გაუგია ჩემი გაჭირვება, გამომიგზავნა ანკეტა გივი დვალიშვილის ხელით და სახელდახელოდ, საიაპონიოდ მიმიღეს პარტიაში.

● **კომუნისტური პარტიის წევრობა და ოჯახი ერთგვარი ტვირთი იყო უცხოეთში წასვლის მსურველისთვის. თუ პარტიას უღალატებდი და იქ დარჩენას გადაწყვეტდი, მაშინ აქ ცოლ-შვილს აგიწიოკებდნენ. ესეც გარკვეული ჩანაფიქრი იყო...**

— სხვათა შორის, იაპონიაში უნგრელები დარჩნენ. ჩვენი ჯგუფის „კაგებეშნიკი“ მინსკელი იყო და ქართველებთან მეგობრობდა. უნგრელების დარჩენის ამბავი რომ შეიტყო, ალმაცერად დაგვიწყო ყურება, თქვენც ხომ ამასვე არ აპირებთო. მე ვუთხარი, ისეთი კარგი სუვენირები ვიყიდე, ეს რომ აქედან არ წავიღო და თბილისელ ძმაკაცებს არ ვაჩვენო, ხომ გამისკდა გული-მეთქი. ამის შემდეგ ცოტა დამშვიდდა.

● **დარჩენით არ დარჩენილხართ, შემდგომში „ნევიეზდნოის“ იარლიყი კი მიიღეთ...**

— ჩემი მხიარული და თავგადასავლების მოყვარული ბუნების გამო. 1966 წელს ნორვეგიაში ვიყავი მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ჩვენი კობა წაქაძე ასპარეზობდა. აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის მეფემ ბანკეტი მოაწყო ჰოლმენკოლენის სასახლეში, სადაც იგი ოთხი წლის ასაკში პირველად დადგა თხილამურებზე. საბჭოთა კავშირიდან ოცნი ვიყავით. იმ დროისათვის საბჭოთა კავშირში მწერლებს სინიავსკისა და დანიელს ასამართლებდნენ. ოსლოში ინგლისიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ტარსისი და ამ ორი მწერლის დასაცავად ხელმოწერებს აგროვებდა. გამოდიოდა ტელევიზიით, რადიოთი, პრესით. ერთი სიტყვით, ლანძღავდა დიად საბჭოეთს და მის სამართალდამცავ ორგანოებს. ბუნებრივია, ჩვენ გაფრთხილებულები ვიყავით „წარმომადგენლის“ მიერ, რომ „კარგად უნდა მოვქცეულიყავით“. რუსები რომ დათვრნენ, „შიროკა სტრანაც“ შემოსძახეს, მეც ჩამაცივდნენ, იმღერეო, სიმღერა არ ვიცი, დავიქ[illegible]ევ-მეთქი. ასტამურ აჩბამ მასწავლა „იმჩხირა ჩაირაზე“ [illegible] ცეკვა. ავიღე სამი [illegible] დანა და ვაცეკვე. იმ საღამოს მე და ერთი დანიელი ჟურნალისტი ყველაზე სიმპათიურებად გვცნეს და ძვირფასი ქუდებით დაგვაჯილდოვეს. მოკლედ, იქ ძალიან პოპულარულები გავხდით, ჩვენი ფოტოები გაზეთებშიც კი დაბეჭდეს, მაგრამ პოპულარობასთან ერთად არაჩვეულებრივი დახასიათება ჩამომყვა, რის გამოც სამი წელი უცხოეთში აღარ მიშვებდნენ. ჰო, მართლა, აქ რომ ჩამოვედი, ფული არ მქონდა და ის ნაჩუქარი ქუდი საკომისიოში გავყიდე ექვსას მანეთად.

ათი წლის შემდეგ, ახლა პოლონეთიდან (იქ ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა) „ჩამოვიტანე“ მეორე დახასიათება: „დარილ დევოჩკამ ზოლოტიე ცეპოჩკი ი სოვერშილ ნადრუგატელსტვო ნად გოსუდარსტვენნიმ ფლაგომ სოვეტსკოგო სოიუზა“. ამ დახასიათებამ აქაც დიდი აურზაური გამოიწვია, პარტიიდან გარიცხვაც დამიპირეს, მაგრამ ბიუროზე ვიღაცას უთქვამს, აშხენას პოპულარობა არ აკლია, და ამით კიდევ უფრო პოპულარული გახდებაო. ამით დამთავრდა ჩემი საზღვარგარეთული მოგზაურობანი.

● **ახლა თუ ხართ პარტიის წევრი?**

— 1988 წლის დეკემბრიდან აღარ ვიხდი საწევროს, განცხადება კი არ დამიწერია, არა მაქვს კრებებზე და ბიუროებზე სიარულის თავი.

● **ტოკიოს ოლიმპიადა ახსენეთ. რამდენადაც ვიცით, ეს ასპარეზობა ქართველი ფალავნებისთვის ერთობ დრამატული აღმოჩნდა...**

— მართალი ბრძანდებით, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის გურამ საღარაძემ, თურქმა და ირანელმა ფალავნებმა ერთნაირი ქულები მოაგროვეს. ჩემპიონობის საკითხი წონას უნდა გადაეწყვიტა. სასწრაფოდ ჩავედით გასახდელში ირაკლი ნემსაძე, ოთარ ლითანიშვილი, თენგიზ კაჭახიძე, მე და კიდევ რამდენიმე ქართველი და გურამს თმის გადაპარსვა ვურჩიეთ. არადა, შესანიშნავი გრუზა თმა ჰქონდა. გვიპასუხა, თურქი ჩემზე ექვსასი გრამით მჩატეა და თმის გადაპარსვა რას მიშველისო.

ტოკიოს ოლიმპიადის ყველაზე დასანანი მომენტი მაინც რომან რურუასა და უნგრელი პოიაკის ფინალური ორთაბრძოლა იყო. ჩემპიონობისათვის პოიაკს ფრეც ჰყოფნიდა, რომანს კი მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. ახლაც თვალწინ მიდგას გაშმაგებული რომანი, როგორ იჭიდავა, აზრიალა უნგრელი, ორჯერ ბეჭებზეც დასცა, მაგრამ ამერიკელმა მსაჯმა პოიაკს პასიურობისთვის შენიშვნაც არ მისცა, რომანს კი ილეთები არ ჩაუთვალა, ხალიჩის გარეთ ჩაატარეო. აშკარა იყო, ამერიკელი მსაჯი ჩაგრავდა რურუას. საბჭოთა კავშირის დელეგაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იური მაშინი ძლიერ განიცდიდა, რატომ გვჩაგრავენო. მე ვუპასუხე, რაც კავშირში ხდება, ტოკიოშიც იმას ვხედავთ-მეთქი. ბრძოლა სპორტსმენებს შორის კი არა, სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა.

● **საინტერესო ცხოვრება გაგივლიათ, სიჭარმაგეში კი ნარდს „შეაფარეთ თავი“...**

— ნარდი ჩემი სიყვარულია, არ მეგულება სპორტის სახეობა, რომელსაც ასეთი აზარტით თამაშობდეს ადამიანი. საოცრად მკაცრი, კაცური კანონები აქვს. შარშან პენსიაზე გავედი. უსაქმოდ ვიყავი, განცხადება წავიკითხე „ლელოში“, ნარდის ჩემპიონატი ტარდებაო. ახალგაზრდობაში შეკრებებზე არაფერს ვაკეთებდი, ნარდისა და ბანქოს თამაშის მეტს. გამოვეხმაურე განცხადებას. მერე იყო და საქართველოს პირველობაზე მთავარი მსაჯობა შემომთავაზეს, ახლა საქართველოს ნარდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ ბორის წიფურიასთან ერთად. რა ვქნა, სპორტულ ცხოვრებას ერთხელ თუ გაუგებ გემოს, მერე უიმისოდ გაგიჭირდება. ასეა, სიბერისას ნარდში ვიპოვე ჩემი თავი და მეც, ისევე როგორც ახალგაზრდობაში კალათბურთს, მთელი სულით და გულით ვემსახურები მას.

ესაუბრა **ინგა ჩახვაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი, II ტური

„ალაზანი" (გურჯაანი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:0 (0:0)

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 20 მარტი.

„ალაზანი": ჭუნიაშვილი, შუ...ძე, კევლიშვილი, წიქარიშვილი, ...ძე, ხანადირაძე, ბაწაშვილი, ...ლიშვილი (პოზოიანი), სოლოღაშვილი (ბარნაბიშვილი), თეთრაული, ...ბახიძე.

„კოლხეთი": ბაბუაძე ბოხტანიანი, კაციტაძე, შურღაია, თევზაძე, ...მეორია, ბაკურაძე (გვასალია), პი...შინი (სპირინი), კალუჟა, გოგაძე, ...ჯიანაძე.

მსაჯები: ე. სილაგავა, ზ. ლაცაბიძე, გ. ხეჩუაშვილი (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს ი. შუბითიძე, მინდვრიდან გააძევეს ი. გოგაძე.

გოლი: ძნელაძე.

I ჯგუფი, II ტური

„ეგრისი" (სენაკი) — „სიონი" (ბოლნისი) 1:0. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა). გოლი: ჭანტურია („ეგრისი").

„არმაზი" (მცხეთა) — „ჩიხურა" (საჩხერე) 5:0. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ბაქრაძე, მე...ძე, სოლოღაშვილი-3 („არმაზი"). უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს სონღულაშვილი („არმაზი").

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 3:0. მსაჯი ლ. ...ლაძე (თბილისი). გოლები: გაგ...შვილი, ჩეკურიშვილი, თედეშვილი („ბახტრიონი").

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მაროელი" (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ...რეხვიაშვილი (გარდაბანი). გოლები: ქვილითაია, ციმაკურიძე („სამეგრელო").

„დურუჯი" (ყვარელი) — „სქური" (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი გ. ხე...ძე (თბილისი). გოლები: კა...შვილი, ელოევი („დურუჯი"). ...დით მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ა. აბრალავა („სქური").

ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 0:1. მსაჯი ა. ...ხარაძე (სოხუმი). გოლი: კომაძე („შუქურა"). ...დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს ა. ანანიძე („შუქურა").

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „ქართლი" (...რის რ-ნი) 2:1. მსაჯი გ. მიქაუძე (ქუთაისი). გოლები: ჩიბაშვილი, ხურცილავა (სტუ), ხორგუაშვილი („ქართლი").

„მრეტები" (თბილისი) — „სიხარული-90" (გაგრა) 2:0. მსაჯი მ. მალურაძე (თბილისი). გოლები: ჯა...ლისი, ტყავაძე („მრეტები").

„კახეთი" (თელავი) — „არაგვი" (დუშეთი) 1:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი). გოლები: ზ. ჯამაგიძე („არაგვი"), ვ. კილასონია („კახეთი"). თელაველმა მაღრაძემ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი.

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გ. ჭვრიტაძე და დ. სანიკიძე (ორივე — „კახეთი"), უხეში თამაშისთვის კი მ. ზაქაიძე („არაგვი").

„ოკრიბა" (ტყიბული) — „იმერეთი" (ხონი) 3:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: კან..., კალატოზი, ფანჩულიძე („ოკრიბა").

## სპონსორები არ აკლიათ

ინგლისურ საფეხბურთო კლუბებს უამრავი ქომაგი და ხელშემწყობი ჰყავთ ცნობილ პიროვნებათა შორის. ზოგს ერთდროულად რამდენიმე სპონსორიც კი გამოუჩნდა.

გამოჩენილი შვედი ჩოგბურთელი სტეფან ედბერგი, რომელიც მუდმივად ლონდონში ცხოვრობს და დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვს, ცნობილ კლუბ „ლიდს იუნაიტედის" სპონსორია; ახლო წარსულში ...თქმული მორბენალი, ახლა კი პროფესიონალი პოლიტიკოსი სებასტიან კოე — ლონდონის „ჩელსის" ...ურვეა; მძლეოსანი სტივ კრამი „სანდერლენდს" პატრონობს. განსაკუთრებით გამოიდეს თავი შე...ლებულმა მუსიკოსებმა: რობერტ ...ლანტი „ვულვერჰემპტონ უონდერერსს" „მფარველობს", ფილ კოლინზი — ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს", დეფ დეპარდი — „შეფილდ იუნაიტედს", ერიკ კლაპტონი — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" და ა. შ.

# იქნებ მართლაც შევძლოს...

### გია გურული—„სტუმრად"... შინ

„კეთილი, სამეგობრო ბიჭია" — ასე დამიხასიათა პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს ფეხბურთელთა კლუბის გკს-ს მწვრთნელმა ორეს ლემჩიკმა თბილისის „იბერიის" ყოფილი წევრი, ამჟამად გკს-ს მოთამაშე გია გურული. შემდეგ კი განაგრძო: „სასტუმროში ცხოვრობს, ისევე, როგორც მე. სამწუხაროდ, გიას ორი ოპერაცია დასჭირდა, რამაც იგი საგრძნობლად „დააშორა" თავის ჩვეულ სპორტულ ფორმას და ამიტომ მას ჯერჯერობით ძირითად შემადგენლობაში ვერ ვათამაშებთ. ვხვდებით, რა ძნელია კარჩაკეტილად ცხოვრება, როგორ არასახარბიელო სიტუაციაშია დღეს ქართული ფეხბურთი. არადა, რამდენი საინტერესო გუნდი გყავთ: „იბერია", „გურია", „გორდა", „ბათუმი"...

ერთი სიტყვით, შარშანდელი ჩემპიონატის ბომბარდირი გია გურული თბილისს „სტუმრად" ეწვია, ეროვნული ჩემპიონატის II ტურის მატჩს — თბილისის „იბერიისა" და ლანჩხუთის „გურიის" შეხვედრას დაესწრო, თამაშის შემდეგ კი ჟურნალისტთა ალყაში მოექცა. შეკითხვები მრავლად იყო, ამიტომაც გია იძულებული გახდა პირდაპირ ფეხბურთელთა გასახდელთან მოეწყო საჩქაროდ პრეს-კონფერენცია.

**● თქვენთან საუბარი ადრეც გვინდოდა, მაგრამ თქვენი აქ არყოფნის გამო ვერ მოვახერხეთ, ამიტომ დაგვიანებით ვულოცავთ შარშანდელ ჩემპიონატში მიღწეულ წარმატებებს.**

— გმადლობთ.

**● პირველი ეროვნული ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილებად იქცა. უშუალო მონაწილის თვალით როგორ შეაფასებდით მას?**

— საუბარი უფრო გამიადვილდება, ჩემს გუნდზე თუ ვილაპარაკებ. ეროვნულ ჩემპიონატს საკმაოდ თავდაჯერებულნი შევხვდით და დავისაჯეთ კიდეც — ფოთის „კოლხეთმა" მწარე მარცხი გვაგემა და გამოგვაფხიზლა. მივხვდით, სიურპრიზები ჩვენს ჩემპიონატში მრავლად იქნებოდა. თბილისის „იბერია" რესპუბლიკის პირველი გუნდი იყო, მაგრამ, თავდაპირველად, სწორედ ამ თავდაჯერებულობის გამო გაგვიჭირდა. ზოგი ამას ფსიქოლოგიური ფაქტორებით ხსნიდა, ზოგი გუნდში მომხდარი ცვლილებებით, საბოლოოდ კი ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი. თუმცა გუნდმა თავისი საბრძოლო განწყობილება მალე დაიბრუნა, ჩემპიონატშიც ყველაფერი „დალაგდა" — ძლიერი გუნდები ქულებს აგროვებდნენ, სუსტები უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოდნენ. ჩვენთვის უსიამოვნო სიურპრიზებს კი ვერც შემდგომ გადავურჩით: შინ დავმარცხდით „გორდასთან", „გურიასთან" თასის ნახევარფინალი დავთმეთ...

**● თქვენ შედეგიანად ითამაშეთ ჩემპიონატში და რუსთაველ მამუკა ფანცულაიასთან ერთად ბომბარდირიც გახდით...**

— იქნებ მეტისთვისაც მიმეღწია, მაგრამ ბოლო მატჩებში დავშავდი და ისე ველარ ვთამაშობდი, როგორც მსურდა. უკანასკნელ ტურამდე მე და მამუკამ თანაბარი რაოდენობის ბურთები გავიტანეთ. რამდენს ეცადნენ ჩემი მეგობრები, „ხელცარიელი" რომ არ გამოვსულიყავი მინდვრიდან, მაგრამ ტრავმამ თავი შემახსენა. მამუკამაც, რომ იტყვიან, „სოლიდარობა გამომიცხადა" და ასე გვერგო ბომბარდირის პრიზი ორ ფეხბურთელს.

**● ტრავმა ახსენეთ. პოლონელმა მწვრთნელმა გვითხრა, რომ გამოხაჯანმრთელებლად ქირურგიული ჩარევა დაგჭირდათ.**

— პოლონეთში მუხლის ორი ოპერაცია გამიკეთეს. პირველის შემდეგ წვრთნა განვაახლე, მაგრამ ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა და მეორედ აღმოვჩნდი საოპერაციო მაგიდაზე... ახლა უკვე ვვარჯიშობ ჩემს ახალ თანაგუნდელებთან ერთად.

**● შარშან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „იბერიის" წამყვანი ფე-**



**ხბურთელების მიწვევამ ევროპის საკლუბო გუნდებში. და მაინც, ქართველი გულშემატკივრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა თქვენი გუნდიდან წასვლა.**

— გულშემატკივარს იმის შიში აქვს, „იბერია" არ დასუსტდეს. მართალია, ჩემთან ერთად გუნდი დატოვეს გამოცდილმა მეკარემ ზაურ ხაპოვმა და სოსო ჭედიამ, რომელმაც შვეციის გუნდთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, მაგრამ დღევანდელ „იბერიაში" ბევრი ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი მეგულება, რომლებიც ჩვენს კლუბიდან წასვლას არ დაატყობენ გუნდს.

**● ახალ გარემოს როგორ შეეგუეთ?**

— თავდაპირველად, ცხადია, გამიჭირდა, შემდეგ კი ყველაფერი მოწესრიგდა. სასტუმროს ნომერში გუნდის მეორე უცხოელ ფეხბურთელთან — კოპოლასთან ერთად ვცხოვრობ, ისიც შავგვრემანია და პოლონელ გულშემატკივრებს არ უჭირთ ჩვენი გამორჩევა. ამჯერად მეუღლეს და შვილსაც თან წავიყვან.

**● თბილისში სტუმრად ყოფნისას თქვენი ახალი გუნდის ხელმძღვანელობა აფორიაქებული იყო საუკეთესო მოთამაშეების ტრავმების გამო. დღეს რა ვითარებაა გუნდში?**

— ჩემპიონატი ცხრა მარტს დაიწყო. ჯერჯერობით პირველ ადგილზე ვართ და უახლოეს მდევარს ორი ქულით ვუსწრებთ. პოლონეთის თასზეც ვითამაშეთ, მაგრამ გუნდი მაინც არ არის ჩვეულ ფორმაში. ტრავმების გამო კვლავ გვაკლია ორი ფეხბურთელი.

**● თქვენ თუ ითამაშეთ?**

— ჯერჯერობით არა. ვფიქრობ, აპრილის ბოლოს ჩვეულ სპორტულ ფორმას აღვიდგენ. პოლონეთში ორ წელიწადს დავყოფ, იქნებ შევძლო და იქიდანაც ბომბარდირის სახელით დავბრუნდე.

**● როდესაც სპორტსმენი უცხოეთში მიდის, მისი გუნდი საკმაო შემოსავალს ელის. თქვენი გადასვლით რა შეემატება „იბერიას"?**

— კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია, ასე რომ, ჯერ ვერაფერს გეტყვით. უახლოეს მომავალში კი პოლონელები საქართველოში საკმაოდ დეფიციტურ პროდუქტს — რძის ფხვნილს გამოგვიგზავნიან. ჩემთვის კი მთავარი ის გახლავთ, რომ ევროპულ ასპარეზზე გასვლის საშუალება მეძლევა.

ესაუბრა თამუნა ჯიშკარიანი.

# ბერტი ფოგთსი და მისი „ბიჭები"

**მსოფლიო** ჩემპიონს ფეხბურთში, როგორც ცნობილია, ევროპის პირველობაზე არავითარი შეღავათი არა აქვს. ისევე, როგორც ნებისმიერმა „მოკვდავმა", მანაც შესარჩევი შეჯიბრებიდან უნდა დაიწყოს ბრძოლა და შესაძლოა ფინალში ვერც გავიდეს. გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონია 1990 წლის 8 ივლისიდან. ამის შემდეგ მისი საზრუნავია ევროპის 1992 წლის პირველობაზე წარმატებით გამოსვლა. ჩემპიონის ავტორიტეტი ფეხბურთის სამყაროში, ცხადია, დიდია, მაგრამ მას კიდევ სჭირდება განმტკიცება, რადგან მეტოქეებს, მოგეხსენებათ, არ „სძინავთ".

როგორი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელთა თამაშმა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ? დავიწყოთ იმით, რომ შარშან მათ 15 მატჩი გამართეს, აქედან 10 მოიგეს, 4 ფრედ დაასრულეს და მხოლოდ ერთხელ (მონპელიეში, ფრანგებთან 1:2) დამარცხდნენ. ამ რიცხვში შედის მსოფლიო პირველობის შემდეგ გამართული 4 მატჩიც.

ჩემპიონატის შემდეგ პირველი ამხანაგური მატჩი ლისაბონში გაიმართა პორტუგალიის ნაკრებთან 29 აგვისტოს. გერმანელების შემადგენლობა, შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტული იყო. ამ დღეს თამაშობდნენ ილგნერი, ბერთოლდი, როიტერი, კოლერი, ბრემე, მათეუსი (ბინცი), ბუხვალდი, მელერი, ბაინი (რაინჰარდტი), რიდლე, ფიოლერი (46 — კლინსმანი).

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. გერმანელთაგან გოლი გაიტანა მათეუსმა. იმ 22 ფეხბურთელიდან, რომლებიც მსოფლიო პირველობის წინ განაცხადში იყვნენ შეყვანილი, ამჯერად მწვრთნელ ბერტი ფოგთსს არ მიუწვევია 8 მოთამაშე. მიზეზი სხვადასხვანაირი იყო: ზოგი ნაკრებს გამოეთხოვა, ზოგი დაშავდა, ზოგს საბრძოლო მზადყოფნა დაუქვეითდა. მიმომხილველთა აზრით, ამ მატჩიდან მოყოლებული, მწვრთნელი თანდათანობით შეუდგა ნაკრების გადახალისებას. საერთო შთაბეჭდილება: გერმანელებმა, თუმცა ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, მაინც ვერ ითამაშეს ისე, როგორც მსოფლიო ჩემპიონებს ეკადრებოდათ.

10 ოქტომბერი, სტოკჰოლმი. შვეცია-გერმანია 1:3. გოლები გაიტანეს: კლინსმანმა, ბრემემ და ფიოლერმა, ჩემპიონების შემადგენლობა კვლავ შეიცვალა: აუმანი, ბინცი, ბერთოლდი, ჰელმერი, ბრემე (რაინჰარდტი), შტრუნცი, ჰესლერი, მათეუსი, მელერი (რიდლე), ფიოლერი, კლინსმანი. ნაკრებში გამოჩნდა „ახალი ტალღის" ოთხი წარმომადგენელი (აუმანი, ბინცი, ჰელმერი და შტრუნცი). ექსპერტების აზრით, აუმანი მაინც ჩამოუვარდება ძირითად მეკარე ილგნერს, ბინცი კი



გერმანელთა თავდამსხმელი რუდი ფიოლერი თავის სტიქიაში...

ავგენტალერზე უარესად თამაშობს. საერთოდ, კი, გერმანელები ამ დღეს გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე პორტუგალიელებთან შეხვედრის დროს, გუნდმა ძალიან კარგად, კომბინაციურად ითამაშა ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებთან. მიმომხილველებმა, მართალია, საკმაოდ თავშეკავებულად, მაგრამ მაინც შეაქეს მწვრთნელი ფოიგთსი. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, დანიშვნის დღიდან პრესამ აშკარად აითვალწუნა ბეკენბაუერის მემკვიდრე.

31 ოქტომბერი, ლუქსემბურგი, ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩი, ლუქსემბურგი — გერმანია 2:3. გერმანელთაგან გოლები გაიტანეს კლინსმანმა, ბაინმა და ფიოლერმა. შემადგენლობა: ილგნერი, ბინცი, ბერთოლდი, კოლერი, ბრემე, ჰესლერი, მათეუსი, შტრუნცი, ბაინი, (რაინჰარდტი), კლინსმანი, ფიოლერი.

ჩვენ უკვე ვწერდით ამ მატჩის შესახებ, რომელიც გერმანულმა პრესამ „სამარცხვინოდ" მიიჩნია და განსაკუთრებით აღნიშნა მცველების — კოლერის, ბერთლოდისა და ბინცის საოცრად სუსტი თამაში. „თამაშიც და შედეგიც სკანდალური იყო", წერდა ბერლინის „ფუვო".

სტუმრად გამართული სამი შეხვედრის შემდეგ გერმანელებმა 19 დეკემბერს შტუტგარტის „ნეკარშტადიონზე" (მატჩს 20 ათასი მაყურებელი ესწრებოდა) მიიღეს შვეიცარიის ნაკრები. შემადგენლობა: ილგნერი, ბერთოლდი, როიტერი, კოლერი, ჰელმერი, ჰესლერი, მათეუსი, ბუხვალდი ზამერი (თომი), კლინსმანი, ფიოლერი (რიდლე). გერმანელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. გოლები გაიტანეს ფიოლერმა, რიდლემ, თომმა და მათეუსმა.

დღევანდელი ამხანაგური მატჩით საბჭოთა ნაკრებთან გერმანელები იწყებენ ევროპის პირველობის მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრებისათვის მზადებას, რომელთაგან უახლოესი 1 მაისს ჰანოვერში ბელგიელებთან გაიმართება.

რა შეიძლება ითქვას ახლანდელი ნაკრების ძირითადი ფეხბურთელების შესახებ?

ილგნერი („კიოლნი", 23 წლის, 25 მატჩი) კვლავ № 1 მეკარეა. თამაშობს თანაბრად, მაღალ დონეზე. მას შემდეგ, რაც აშკარად არ გაამართლა ბინცის თავისუფალ მცველად თამაშის ექსპერიმენტმა, ამ, მისთვის ჩვეულ ადგილზე, დაბრუნდა ბერთოლდი („რომა", 26,26). ისიც საინტერესოა, რომ მან ორჯერ მარჯვენა მცველად ითამაშა და საკმაოდ მარცხიანადაც. წინა ცენტრალური მცველი კოლერი (მიუნხენის „ბაიერნი", 25, 34), თუ ლუქსემბურგელებთან სრულიად მოულოდნელ ჩავარდნას არ გავითვალისწინებთ, საიმედო მოქმედებით გამოირჩევა, მარცხნივ სისტემატურად გამოდის ცნობილი ოსტატი ბრემე („ინტერი", 29, 60).

კვლავ მეტად მძლავრია შუა ხაზი. მათეუსი („ინტერი", 29, 85), გუნდის კაპიტანი და ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი, ოთხივე წინა მატჩში ჩინებულად თამაშობდა. დიდ იმედებს ამყარებენ ჰესლერზე („იუვენტუსი" 24, 20), ტანმორჩილ, მოძრავ, გონებამახვილ ნახევარმცველზე, ამ ხაზში გამოდის აგრეთვე მრავალნაცადი ბუხვალდი („შტუტგარტი", 29, 41) და ზამერი, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ადგილი დაიმკვიდრა ჩემპიონთა გუნდში, ზამერი ახლა „შტუტგარტში" თამაშობს, 23 წლისაა, 23-ჯერ გამოვიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ნაკრებში და ერთხელ — გერმანიის ნაკრებში. შეიძლება ითამაშოს თომმაც (ლევერკუზენის „ბაიერი", 25 წლის, 51 მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში, 1— გერმანიის ნაკრებში).

გერმანიის გუნდი თამაშობს ორი თავდამსხმელით, ამ ადგილებზე კი სამი ძირითადი კანდიდატია: კლინსმანი („ინტერი", 26, 29), ფიოლერი („რომა", 30, 73) და რიდლე („ლაციო", 25, 13). სამივე მათგანი იტალიის პირველ ლიგაში სტაბილურად თამაშობს. ფოგთსმა ამ ხაზში შეიძლება რომელიმე ახალი ფეხბურთელიც გასინჯოს, პირველ რიგში კი, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების წევრი დოლი.

ბიჩი თორელი

# ძს-ძსაა შევიტყვეთ...

## კალათბურთი

### ათი ცნობილი და ექვსი უცნობი

ნბა-ს კალათბურთელთა ჩემპიონატში მეორე ეტაპის თექვსმეტი მონაწილიდან ათის ვინაობა უკვე ცნობილია. მეტ-ნაკლებად გაურკვეველი მდგომარეობაა ატლანტის დივიზიონში. აქ ჯერჯერობით მხოლოდ „ბოსტონმა" ივარგა. სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავთ „ფინალისტთა" შორის ცენტრალურ („ჩიკაგო", „დეტროიტი", „მილუოკი"), შუა-დასავლეთის („იუტა", „სან-ანტონიო", „ჰიუსტონი") და წყნარი ოკეანის („პორტლენდი", „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", „ფენიქსი") დივიზიონებს.

შაბათ-კვირის მატჩების შედეგები:

„მილუოკი" — „დენვერი" 140:136

„ჩიკაგო" — „ინდიანა" 133:119

„ლოს-ანჯელეს კლიპერსი" — „გოლდენ სტეიტი" 107:104.

„ორლანდო" — „დალასი" 105:93

„ატლანტა" — „მაიამი" 108:93

„კლივლენდი" — „ნიუ-ჯერსი" 106:82

„ვაშინგტონი" — „ფილადელფია" 102:99

„ჰიუსტონი" — „ნიუ-იორკი" 111:98.

„იუტა" — „მინესოტა" 95:89

„ფენიქსი" — „საკრამენტო" 100:95

„პორტლენდი" — „შარლოტა" 117:102

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „სიეტლი" 113:96

„სან-ანტონიო" — „დეტროიტი" 85:78.

#### აღმოსავლეთის კონფერენცია ატლანტის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი" | 50 | 19 | 725 |
| „ფილადელფია" | 38 | 30 | 559 |
| „ნიუ-იორკი" | 34 | 35 | 493 |
| „ვაშინგტონი" | 25 | 42 | 378 |
| „ნიუ-ჯერსი" | 22 | 46 | 324 |
| „მაიამი" | 20 | 49 | 290 |

#### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო" | 51 | 16 | 761 |
| „დეტროიტი" | 42 | 27 | 609 |
| „მილუოკი" | 42 | 27 | 609 |
| „ატლანტა" | 38 | 31 | 551 |
| „ინდიანა" | 34 | 35 | 493 |
| „კლივლენდი" | 24 | 43 | 358 |
| „შარლოტა" | 19 | 49 | 279 |

#### დასავლეთის კონფერენცია შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუტა" | 45 | 22 | 672 |
| „სან-ანტონიო" | 44 | 23 | 657 |
| „ჰიუსტონი" | 43 | 24 | 642 |
| „დალასი" | 25 | 42 | 373 |
| „ორლანდო" | 23 | 43 | 348 |
| „მინესოტა" | 22 | 45 | 328 |
| „დენვერი" | 18 | 50 | 265 |

#### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტლენდი" | 49 | 18 | 731 |
| „ლ-ა. ლეიკერსი" | 49 | 20 | 714 |
| „ფენიქსი" | 46 | 21 | 687 |
| „გოლდენ სტეიტი" | 36 | 31 | 537 |
| „სიეტლი" | 32 | 35 | 478 |
| „ლ-ა. კლიპერსი" | 24 | 44 | 353 |
| „საკრამენტო" | 18 | 48 | 273 |

რა მდგომარეობაა იმ გუნდებში, რომლებმაც უკვე გაინაღდეს ნბა-ს ჩემპიონატის საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა?

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო" | 51 | 16 | 761 |
| „პორტლენდი" | 49 | 18 | 731 |
| „ბოსტონი" | 50 | 19 | 725 |
| „ლ-ა. ლეიკერსი" | 49 | 20 | 714 |
| „ფენიქსი" | 46 | 21 | 687 |
| „იუტა" | 45 | 22 | 672 |
| „სან-ანტონიო" | 44 | 23 | 657 |
| „ჰიუსტონი" | 43 | 24 | 624 |
| „დეტროიტი" | 42 | 27 | 609 |
| „მილუოკი" | 42 | 27 | 609 |

### ახალი ჰამბურგერი „მაკჯორდანი"

### სუპერჰონორარი 17,5 მილიონი დოლარის ოდენობით

როგორც ცნობილია, ნბა-ს ჩემპიონატს გათამაშების მეორე ეტაპზე თექვსმეტი გუნდი გააგრძელებს — 8-8 უძლიერესი კლუბი თითო კონფერენციიდან. დღეისათვის აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელი ტურნირში მონაწილე ოცდაშვიდ გუნდს შორის აქვს ცენტრალური დივიზიონის (აღმოსავლეთის კონფერენცია) ლიდერს „ჩიკაგოს" — 50 გამარჯვება, 15 წაგება და 769 პროცენტი. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, „ჩიკაგო ბულსი" დღეს პროფესიულ კალათბურთში ყველაზე გაწონასწორებული და სტაბილური გუნდია, რომელიც ჩემპიონატის მატჩებს ერთნაირად მაღალ დონეზე ატარებს. ამის ერთი მაგალითია ჩიკაგოელთა ორი ბოლო მატჩი „ატლანტა ჰოუკსთან" — 129:107. და „დენვერ ნაგეტსთან" 121:108.

არავის ეპარება ეჭვი, რომ ჩიკაგოელთა წარმატებაში ლომის წილი გუნდის ლიდერსა და, საერთოდ, პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთ „სუპერვარსკვლავს" მაიკლ ჯორდანს მიუძღვის. მისი დამსახურებების აღიარების ნიშნად აპრილის პირველი რიცხვებიდან „მაკდონალდსის" ფირმა თავისი სასაუზმეების მენიუში ახალ ჰამბურგერს — „მაკჯორდანს" დაამკვიდრებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, „მაკჯორდანის" გავრცელების სფერო შეზღუდული იქნება ჩიკაგოთი და მისი გარეუბნებით, ვინაიდან, მაიკლ ჯორდანი განსაკუთრებული პოპულარობით სწორედ ამ რეგიონში სარგებლობს.

პროფესიულ კალათბურთში გუნდის თამაშზე ბევრი რამ არის დამოკიდებული: სავსე ტრიბუნები, შემოსავალი ტელეტრანსლაციიდან, რეკლამიდან და, აქედან გამომდინარე, კალათბურთელთა მაღალი ჰონორარები, რომლებსაც, პირველ რიგში, „სუპერვარსკვლავები" იღებენ. „ჩიკაგო ბულსი" თავისი მყარი რეპუტაციისა და მოწესრიგებული ფინანსური მდგომარეობის გამო, არ ერიდება მაღალი ჰონორარების გაცემას. ამ დღეებში მან ხუთი წლით გაუგრძელა კონტრაქტი სკოტ პეიპენს და ამაში 17,5 მილიონი დოლარი გადაიხადა (3,5 მილიონი სეზონში). ამით პეიპენი თხუთმეტ უმდიდრეს კალათბურთელთა სიაში მოხვდა (ამ სიაში დიდი ხანია ერთ-ერთი პირველი ადგილი სწორედ მაიკლ ჯორდანს უკავია).

ნბა-ს ჩემპიონატის ამ ეტაპზე ყველა კლუბს თავისი პრობლემა აქვს. „მაიამი" და „დენვერი", რომლებმაც ყველაზე მეტი შეხვედრა (47-47) წააგეს და, ცხადია, თავიანთ დივიზიონებში აუტსაიდერებად ითვლებიან, შემადგენლობების სრულ განახლებაზე ფიქრობენ. მაგრამ ეს რომ მოხდეს, საჭიროა, ფინანსური პრობლემების მოგვარება.

წყნარი ოკეანის დივიზიონის აუტსაიდერმა „საკრამენტომ" ერთი ორიგინალური რეკორდი დაამყარა — ზედიზედ 28 შეხვედრა წააგო. ამის გამო, კლუბის მწვრთნელმა დიკ მოტამ წონასწორობა დაკარგა, თავს ვეღარ იკავებს, უკვე მერამდენედ სჯიან მსაჯები უწესრიგობისთვის და აძევებენ მოედნიდან...

## ფეხბურთი

**ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა.**

### იტალია

#### „სამპდორია" დაწინაურდა

26-ე ტურში დაირღვა პარიტეტი ლიდერთა შორის. „სამპდორიამ" კიდევ ერთი, ამჯერად მეთექვსმეტე გამარჯვება მოიპოვა, „ინტერი" კი მეოთხედ დამარცხდა.

„სამპდორიას" მეტოქე ამჯერად მარადონას გუნდი — „ნაპოლი" იყო. ლიდერმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:1, (2:0). ორი გოლი ამ შეხვედრაში გაიტანა ვიალიმ (19 და 65-ე წ.), თითო — სერეზომ (14) და ლომბარდომ (86). ნეაპოლელთაგან ერთადერთი ბურთი, ისიც თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით, გაქვითა მარადონამ. „სამპდორიამ" ამ გამარჯვებით 3-ქულიან უპირატესობას მიაღწია „ინტერთან", რომელმაც ტურის მატჩი წააგო „მილანთან" 0:1 (0:0). გოლი თამაშის 74-ე წუთზე გაიტანა ვან ბასტენმა.

სხვა მატჩები დამთავრდა ასე:

„ატალანტა" — „ლაციო" 4:1 (2:1)

„ბარი" — „ბოლონია" 4:0 (2:0)

„ჩეზენა" — „ლეჩე" 3:1 (2:0)

„ფიორენტინა" — „კალიარი" 4:1 (1:1)

„პარმა" — „პიზა" 2:3 (0:1)

„რომა" — „იუვენტუსი" 0:1 (0:0)

„ტორინო" — „ჯენოვა" 5:2 (3:1)

#### გათამაშების ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სამპდორია" | 16 | 7 | 3 | 39 |
| „ინტერი" | 14 | 8 | 4 | 36 |
| „მილანი" | 13 | 8 | 5 | 34 |
| „იუვენტუსი" | 11 | 9 | 6 | 31 |
| „ჯენოვა" | 11 | 8 | 7 | 30 |
| „პარმა" | 10 | 9 | 7 | 29 |
| „ტორინო" | 10 | 9 | 7 | 29 |
| „ლაციო" | 6 | 16 | 4 | 28 |
| „რომა" | 8 | 10 | 8 | 26 |
| „ატალანტა" | 8 | 10 | 8 | 26 |
| „ნაპოლი" | 7 | 11 | 8 | 25 |
| „ბარი" | 8 | 8 | 10 | 24 |
| „ფიორენტინა" | 6 | 11 | 9 | 23 |
| „ლეჩე" | 4 | 12 | 10 | 20 |
| „პიზა" | 7 | 5 | 14 | 19 |
| „კალიარი" | 3 | 12 | 11 | 18 |
| „ბოლონია" | 3 | 9 | 14 | 15 |
| „ჩეზენა" | 4 | 6 | 16 | 14 |

იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა „სამპდორიას" ფორვარდი ვიალი, რომელსაც 15 გოლი აქვს გატანილი.

### ესპანეთი

#### მატჩის გადარჩენა შეიძლებოდა

27-ე ტურის სენსაციად იქცა „ბარსელონას" მარცხი ხიხონში, ადგილობრივ „სპორტინგთან" 0:1. გოლი, რომელმაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი, 32-ე წუთზე გაიტანა ენრიკემ. „ბარსელონას" შეეძლო თამაშის გადარჩენა, მაგრამ სტოიჩკოვის დარტყმული თერთმეტმეტრიანი ძელმა „მოიგერია".

მადრიდის „რეალი" კინაღამ დამარცხდა შინ „ოვიედოსთან". მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელთა კარში ლამაზი გოლი გაიტანა კარლოსმა. ბუტრაგენიომ 51-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში და ამით თავის გუნდს ერთი ქულა შესძინა.

#### სხვა მატჩები:

„ბურგოსი" — „ატლეტიკო" (მადრიდი) 1:1 (1:1)

„ოსასუნა" — „კასტელონი" 2:0 (1:0).

„ესპანიოლი" — „ლოგრონიესი" 0:1 (0:0).

„ვალენსია" — „სან-სებასტიანი" 0:1 (0:0)

„ატლეტიკო" (ბილბაო) — „სევილია" 2:0 (2:0)

„ვალიადოლიდი" — „სპორტინგი" 0:0.

„ტენერიფე" — „მალიორკა" 2:1 (0:0)

„ბეტისი" — „კადისი" 3:0 (2:0)

#### გათამაშების ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 20 | 4 | 3 | 44 |
| „ატლ." (მადრიდი) | 15 | 10 | 2 | 40 |
| „ოსასუნა" | 12 | 9 | 6 | 33 |
| „ლოგრონიესი" | 11 | 8 | 8 | 30 |
| „ვალენსია" | 11 | 7 | 9 | 29 |
| „სევილია" | 12 | 5 | 10 | 29 |
| „რეალი" (მადრიდი) | 12 | 5 | 10 | 29 |
| „სპორტინგი" | 10 | 9 | 8 | 29 |
| „ოვიედო" | 9 | 10 | 7 | 28 |
| „სან-სებასტიანი" | 8 | 11 | 8 | 27 |
| „ესპანიოლი" | 8 | 8 | 11 | 24 |
| „ბურგოსი" | 6 | 12 | 9 | 24 |
| „სარაგოსა" | 8 | 8 | 11 | 24 |
| „ვალიადოლიდი" | 6 | 11 | 10 | 23 |
| „ტენერიფე" | 9 | 5 | 13 | 23 |
| „მალიორკა" | 7 | 8 | 12 | 22 |
| „კასტელონი" | 6 | 10 | 11 | 22 |
| „ატლ." (ბილბაო) | 10 | 2 | 14 | 22 |
| „ბეტისი" | 5 | 8 | 14 | 18 |
| „კადისი" | 4 | 10 | 13 | 18 |

### საფრანგეთი

31-ე ტურში გათამაშების ლიდერმა „მარსელმა" შინ ფრედ დაამთავრა შეხვედრა „სოშოსთან" — 0:0, „მონაკომ" კი სტუმრად „ტულუზას" აჯობა 2:1. (1:1). სტუმრად წააგო „ოსერმაც" „ლიონთან" — 0:1 (0:0).

ჩემპიონატს ლიდერობს „მარსელი" — 45 ქულა. მეორე ადგილზეა „მონაკო" — 40, მესამეზე — „ოსერი" — 39. სნაიპერთა დავაში უპირატესობას ინარჩუნებს „მარსელის" ფორვარდი ჟან-პიერ პაპენი — 19 გოლი. მეორე შედეგი აქვს „მონპელიეს" თავდამსხმელ ლორან ბლანკს — 14 გოლი.

### შვეიცარია

როგორც უეფა-ს არბიტრთა კომისიის წარმომადგენელი ჟენევიდან იუწყება, „მარსელისა" და მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარფინალურ შეხვედრებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე მოემსახურებიან დანიელი მიკელსენი და ინგლისელი ჰეკეტი. დანიელი მოსკოვის შეხვედრას იმსჯელებს, ინგლისელი კი მარსელისას.

## გუშინ...

გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში უმასპინძლა სვერდლოვსკის „ურალმაშს". ანგარიშით 76:72 (43:37) გაიმარჯვეს სტუმრებმა.

## ტურნირები და შედეგები

● **ავტოსპორტი.** „ფორმულა-1"-ის (მეორე ეტაპი) საკვალიფიკაციო რბოლაში ბრაზილიელმა აირტონ სენამ („მაკლარენი") საუკეთესო დრო აჩვენა: „ინტერლაგუშის" ავტოდრომზე ერთი წრე 1.16,392-ში დაფარა, რაც საათში საშუალოდ 203,317 კილომეტრს უდრის. მეორე და მესამე შედეგი ჰქონდათ იტალიელ რიკარდო პატრეზეს (1.16,775) და ინგლისელ ნაიჯელ მენსელს (1.16,843). შარშანდელი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით სენას მთავარმა კონკურენტებმა ალენ პროსტმა და ჟან ალეზიმ (ორივე საფრანგეთი, „ფერარი") შესაბამისად მეექვსე და მეხუთე ადგილები დაიკავეს.

● **ჰოკეი.** კანადაში გაიმართა ბრიტანეთის კოლუმბიის თასის გათამაშება, რომელშიც ერთობ წარუმატებლად გამოვიდა სსრკ ოლიმპიური ნაკრები. იგი დამარცხდა კანადასთანაც (2:4) და ფინეთთანაც (3:4). მთავარი ჯილდო მოიპოვეს კანადელმა ჰოკეისტებმა, რომლებმაც ფინალში ფინელებს აჯობეს — 6:0.

● **მოტოსპორტი.** 500 კუბური სანტიმეტრი კლასის მოტოციკლისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გაიმარჯვა ამერიკელმა კევინ შვანცმა („სუძუკი"), რომელმაც დისტანციაზე საშუალოდ საათში 159,147 კმ განავითარა. 250-იანებში უძლიერესი იტალიელი ლუკა კადალორა იყო.

● **კალათბურთი.** ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შედეგები: „კალევი" (ტალინი) — „უზსტროიმეხანიზაცია" (ტაშკენტი) 120:64 (59:37), „დინამო" (მოსკოვი) — „ბუდიველნიკი" (კიევი) 110:99 (61:50).

## ბედისწერამ ყველაფერი წაშალა



პირველად ამ 5 წლის წინათ დადგა თხილამურებზე. ხარობდა და ლაღობდა სპორტში თანატოლებთან ურთიერთობით. დიდი სპორტისკენ ჰქონდა მზერა მიპყრობილი. განათლების სამინისტროს სამთო-სათხილამურო სკოლის აღსაზრდელში სპეციალისტები მომავალი ოსტატის თვისებებს ხედავდნენ. ეს თვისებები იყო შეუპოვრობა, სამაგალითო შრომისმოყვარეობა, სპორტისადმი ფანატიკური სიყვარული. სამწუხაროდ, სწორედ სპორტული ჟინი, შეუპოვრობა და რისკი გამოდგა ნორჩი მოთხილამურისთვის საბედისწერო — გუდაურში ერთ-ერთი ასპარეზობის შემდეგ მთიდან დაშვებისას ბოძს შეეჯახა...

გუდაურის თოვლიან ტრასაზე დასრულდა ოცნება, სპორტულმა სკოლამ დაკარგა ნიჭიერი სპორტსმენი, მშობლებმა საამაყო შვილი, თანატოლებმა გამორჩეული მეგობარი, სამშობლომ მომავალი ღირსეული მოქალაქე.

ბედისწერამ ყველაფერს ერთბაშად გადაუსვა ხაზი.

ვახტანგ (ვატო) ფიფიას 5 მაისს 12 წელი შეუსრულდებოდა...

**საქართველოს განათლების სამინისტროს სამთო-სათხილამურო სკოლის დირექცია, 53-ე საშუალო სკოლის თანაკლასელები.**

## „სპორტპროგნოზი"

### „2-C" სპეციალური ტირაჟის შედეგები

**(19-21 მარტი)**

**1—2, 2—1, 3—2, 4—2, 5—X, 6—2, 7—X, 8—1, 9—X, 10—1, 11—1, 12—1, 13—2.**

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

### მე-12 ტირაჟის შედეგები

(23-24 მარტი)

1—1, 2—1, 3—2, 4—2, 5—1, 6—1, 7—X, 8—X, 9—2, 10—2, 11—1, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი" — 93-97-26, „მორიგე" — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20